სცამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
თ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიის.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

გაზეთი „ცნობის ფურცელი" ღირს
წლის დამლევამდე 3 მ. 50 კ.

დაიბეჭდა და გადაეცა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების"
მაღაზიას გასასყიდათ ახალი წიგნი

**თ. ილია ჭავჭავაძე**

ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი
წერილი პირველი
მ ე ბ ა ხ ლ ა ვ ა რ-ისა

ფასი 20 კაპ.

ვინც დაიბარებს ათს ცალზე მეტს ხსენებულ მაღაზიიდგან, მას [illegible]ობა 20%. (15—13)

**პანსიონი და სასწავლებელი**
**ნ. დიდებულიძისა**

**გადავიდა** ახალს სახლში, მიხეილის ქ. № 129, სადაც დებულობენ ყმაწვილებს მოსამზადებლად მეორე კლასამდინ და სრული ხარჯით პანსიონერებად. მორიგება შეიძლება პირათა და წერილით.

**შპალერების საწყობი**
**ი. გ. მელიქიშვილისა**
ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102
ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი
ფასი ყველაფერზე იაფია
შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასაწყობი სამკაულები.

**Депо обоевъ**
**I. Г. МЕЛИКОВА**
Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни)
№ 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100 28)

**განსხვრა** და დაფასება
ტეიან მამულებისა
**დაფასება** სამეურნეო შემოსავლისა
მამულის ვეგმის შედგენას და სხ. ასრულებს ალექსი გრიგოლის ძე **სნეჟკოვი**, ლაბორატორიის ქუჩა № 26. ტელეფონი № 567.
Алексѣй Григорiевичъ Снѣжковъ,
Лабораторная, № 26. (50—50)

**ექიმი**
**კ. ი. გძელიშვილი**
მ ი ი ღ ე ბ ს
ყელის, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკლესიის პირდაპირ.
Докторъ К. И. Гдзелишвили.
Михайловская, противъ кирки.
(100—26)

Вышли въ свѣтъ и продаются вмѣстѣ съ прежними изданіями во всѣхъ книжныхъ магазинахъ и на Дворцовой ул у г. Акопова

**Мысли и афоризмы**
часть 3-я
сочиненіе **Д. Х. Тутаева**

Скоро выйдутъ въ свѣтъ сочиненія того-же автора, піесы: **«Будуаръ», „Цвѣточки конца XIX вѣка», Яша Альфонсъ и Калѣка».** (4—2)

სამკურნალო და ამბულატორია
**ს. ბ. თოფურიასი**
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობასანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს **ფ. კ. ზერრატი.** დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოზანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ф. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лечебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

* * * ნავთის საქმე კახეთში. მაზრის სალაპარაკოთ არამდარა გამხდარა თავის მომავალის უძირო ნავთის ზღვით. სულ სხვა და სხვას ლაპარაკობენ და სხვა და სხვა აზრიც ტრიალებს. მხოლოდ ის კი ყველასაგან ერთნაირად არის ცნობილ-მიღებული, რომ დღეს არამდარაში, თავად ანდრონიკაშვილების მამულებში ერთი ფრანგთა ამხანაგობა ნავთის ნაკადულებს ეძებს. ამხანაგობამ ათას თუმნამდისინ დახარჯა და დიდი „ბურავიც" უკვე მოიტანა ბაქოდგან. ამ დღეებში ეს ბურაო გასტეხიათ და ელიან სხვა ახალს. მკვიდრნი უფრო ეჭვში არიან, მაგრამ თვით მომუშავენი კი მტკიცეთ არიან დარწმუნებულნი, რომ აქ დიდძალი ნავთი უნდა ამოვიდეს და მთელი მილიონები დატრიალდეს. ზოგნი ამასაც კი ამბობენ, რომ ბაქოს ნავთების სათავე აქ, არამდარაში არისო. დღეს ესეა საქმე და ვნახოთ, რას გვიჩვენებს მომავალი. ჩვენ მხოლოდ ვისურვებთ სულით და გულით, რომ იმედი მომუშავეთა გამართლებულ იყოს, რათა მიეცეს სახსარი მუშაობის მოუსავლობით დაქვეითებულს ქიზიყს.

* * * სახელმძღვანელოთა რაოდენობა საეპარქიო სკოლებში. თუ რა ადრიანად და უხვად უგზავნის სამრევლო სკოლებს ქართლ-კახეთის საეპარქიო საბჭო, სჩანს შემდეგი ციფრებიდან; წარსულის წლის ზაფხულის თვეებში მას დაუბარებია წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიდან და სამრევლო სკოლებში გაუგზავნია: დედა-ენა—1,200 ცალი, ბუნების კარი—150 ც., Русское Слово, ნაწილი პირველი—1200 ც., ნაწილი მეორე—500 ც. წარსულს ივნისში მდგომარე წლისა წაუღია 100 ც. Руководство для учителей и учительницъ къ преподаванію Русскому Слову და დაურიგებია ყველა მასწავლებელთათვის, რომელნიც საზაფხულო საპედაგოგიო კურსებზე არიან მოწვეულნი. დაუკვეთნია აგრეთვე სკოლებში გასაგზავნად ამ ზაფხულის განმავლობაში პირველ პარტიად: დედა-ენა—1000 ც., ბუნების კარი—150 ც., Русское Слово ნაწილი პირველი—1000 ც. და იგივე მეორე ნაწილი—500 ც. რაც დააკლდება სკოლებს, იმას შემდგომაზე გაუგზავნიან.

* * * ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი თავ. ს. გ. წერეთელი, რომელიც ამ დღეებში ტფილისში იყო, უკვე დაბრუნდა ქუთაისში.

* * * თავისუფალი მიწები ნაძალადევში. ქალაქის გამგეობას მრავალი თხოვნა მისდის ღარიბ მცხოვრებლებისაგან, ქალაქის ცალიერი

მიწები იჯარით მოგვეცით, რომ ზედ სახლები ავაშენოთო. ქალაქის გამგეობამ დაავალა თავის ინჟენერს, დაანაწილოს ქალაქის ადგილი „ნაძალადევის“ უბნის ზემოდან, ნადიროვის ადგილების მახლობლად. ამ ჟამად ინჟენერს ეს უკვე დაუმთავრებია. ეს ადგილი ქალაქისა დაყოფილია ნაწილებად თითო მოსახლისათვის 80,100 და 150 ოთხ-კუთხი საჟენი. ამ ადგილებს შორის იქნება კარგა განიერი ქუჩები და ერთი მოედანი. ამ ადგილებს ძლიერ მალე მისცემენ იჯარით-მსურველებს.

*** **ჟურნალ-გაზეთების შემოსავალი.** როგორც ტფილისის პოლიცმეისტრის მიერ შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, ტფილისის ჟურნალ-გაზეთობას 1897 წელს 252,150 მან. აულია. აქედან მარტო რუსულ ჟურნალ-გაზეთობას 155,000 მან.

*** **ქუთაისის ქალაქის მოურავის** არჩევნები მოხდება კვირას, 12 ივლისს.

*** **საავადმყოფოთათვის გადასახადის შემოღება ბათომში.** ქ. ბათომის თვით-მმართველობის შუამდგომლობა ბათომში საავადმყოფოთათვის გარდასახადის შემოღების შესახებ შეწყნარებულ იქმნა.

*** **ცივანოვის აღმართზე კლდეების** გასასწორებლად გადადებულია 3,000 მან.

*** **სომეხთა სკოლის ქონების ჩამორთმევა ბათომში.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით და უმაღლეს საგუბერნიო ადმინისტრაციის მოწერილობით, 6 ივლისს ჩამოერთვა ქონება ბათომის სომეხთა სამრევლო სკოლას (სმეკალოვის ქ.) სახალხო განათლების სამინისტროზე გადასაცემად.

*** **ხიდებისა და მილების გასწორების იჯარით გაცემა.** 16 ივლისს ქუთაისში საგუბერნიო გამგეობაში იჯარით გაიცემა ხიდებისა და მილების გასწორება საჯავახო-ჩოხატაურის გზაზე.

*** **ქალაქის ახლად დასაარსებელი პირველ-დაწყებითი სასწავლებლები,** როგორც ისმის, ვერ გაიხსნება სექტემბრიდან, რადგან სადგომები მათთვის ჯერ კიდევ ვერ მოუძებნიათ, ხოლო საბჭოს აღმასრულებელ კომისიის წევრები, გარდა ორისა, წავიდ-წამოვიდნენ საგარაკოდ. ამგვარად, ქალაქის ჰირისუფლებს დაპირება უფრო ეხერხებათ, ვიდრე ასრულება.

*** **საჩივარი უსახელო საზოგადოებაზე.** ქვრივს ფოსტა-ტელეგრაფის მოხელის მელიუკევიჩისას, რომელიც კონკამ გასრისა „გრანდ-ოტელის“ სასტუმროსთან, საჩივარი შეაქვს ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოებაზე, რომლისაგან მოითხოვს 21,000 მან.

*** **ტეხნიკურ სასწავლებელთა დაარსების საქმე.** სახალხო განათლების სამინისტროს საშრეწველო სასწავლებელთა განყოფილების მართველი ტ. სოვ. ი. ა. ანოპოვი ამ მოკლე ხანში ჩამოივლის იმ ქალაქებს, რომლებშიაც განზრახვა აქვთ დააარსონ უმაღლესი და საშუალო ტეხნიკური სასწავლებლები, და, სხვათა შორის, ჩამოვა ქ. ტფილისშიაც.

*** **ყაჩაღის სოუნის სასჯელი.** გაზეთ „ნ. ობ.“-ეს განჯიდან დეპეშით აუწყებენ, რომ დროებითი სამხედრო სასამართლოს განყოფილებამ ცნობილ ყაჩაღს სოუნს ჩამოხრჩობა მიუსაჯა. სხდომამ გასტანა 4 დღეს.

*** **ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოქმედება.** მომდინარე წლის პირველი ოთხი თვის განმავლობაში ამიერ-კავკასიის რკინის გზით უმოგზავრია სულ 791,589 კაცს; გადაუზიდავთ ამ გზით 46.352,204 ფუთი საქონელი და 1,048 სხვილფეხი პირუტყვი. მთელი შემოსავალი რკინის გზისა უდრის: მგზავრთა წაყვანიდან—563,508 მ., საქონლის გადაზიდვიდან—5.076,355 მან., სხვა წყაროებიდან 556,000 მ., სულ 6.195,863 მანეთს. იმავე ხნის განმავლობაში შარშან უმოგზავრია 643,464 კაცს, გადაუზიდავთ 48,467,000 ფუთი საქონელი, შემოსავალი ყოფილა 7.461,140 მან.

*** **შიო-მღვიმის ბაქანი.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ რკინის გზის ბაქანს 263 ვერსზე სადგ. მცხეთასა და ქსანს შუა დაერქვას შიო მღვიმის ბაქანი.

*** **ნავთის ჰქვება ნავთის ჰალაში.** ამას წინად ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მართველობამ სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, გადაეცეს ნავთის ჰალაში (ნავთლუღის ნაწილში) მყოფი ნავთის ჰქები ხაზინისაო. ეს თხოვნა დასაბუთებული იყო იმით, რომ 1846 წელს კავკასიის ნამესტნიკად ნამყოფმა თავ. ვორონცოვმა გადასცა ნავთის ჰქები შენობიანად ქალაქს იმ მიზნით, რომ ქალაქს ესარგებლნა ამ ჰქებით და მოეხმარა შემოსავალი მათგან თავის კეთილ-მოწყობისათვის, რადგან ამ ჟამად ქალაქი არ სარგებლობს ამ ჰქებით და მას თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საშუალება აქვს, ამის გამო ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველობა თხოულობს გადაეცეს ჰქები ხაზინას, რადგან შემოსავალი მათგან ქალაქს ხმარდებაო.

*** **ნავთის წარმოების გაყიდვა,** გაზ. „კასპის“ სარწმუნო წყაროებიდან გაუგია, რომ აშაველოვისა და ბუდაგოვის ნავთის წარმოება უყიდნია ბ. შუმახერს; თუ რა ფასად გაუყიდნია ეს წარმოება, არავინ იცის, რადგან თვით მყიდველ-გამყიდველნი არ ამხელენ ამას. ამხანაგობის „მაზუთის“ ნავთის წარმოება უყიდია ს.-პეტერბურგის კერძო საკომერციო ბანკს, ნახევარ მილიონად. ბედ უკვე შეუტანია ბანკს 100,000 მ. შარშან ივლისში და კიდევ 400,000 მან, ოთხ ივლისს.

*** **ტყის დამცველმა ტფილისის** კომიტეტმა ამა წლის 15 ივნისს დაადგინა დაცულ და შეკრულ იქმნას: თელავის სატყეო აგარაკი, რომელიც თელავთან მდებარეობს. ეს ტყე შეიცავს 552 დეს. 400 ოთხ კუთხ. საჟ. და ეკუთვნის თავად რუსიშვილთა და ვახვახიშვილთ. იარალოვს, სულხანიშვილისას, სოსროევს, კიკნაძეს, ხოსრუნოვს, შიუკაშვილს და ჯავახიშვილს. ამ ტყის თვალ-ყურის ჭერა მინდობილი აქვს თელავის ტყის უფროსს. სიღნაღის მაზრაში შემდეგი სატყეო აგარაკები: ბაკურციხის, ჩალაუბნისა, მელაანისა, ფხოველისა, ზიარისა, გურჯაანისა, ვეჯინისა და კოლაგისა; აგრეთვე თავადთა ტყეები: აგატო, ბ.ბურთ, ონანო და ელიშო ვაჩნაძეებისა, ანდრონიკაშვილების, აბაშიძეებისა, შალიკაშვილებისა, ჯორჯაძეებისა და სხვათა. ამ ტყეების თვალ-ყურის ჭერა მინდობილი აქვს სიღნაღის ტყის უფროსს და ბაკურციხისა და კოლაგის ბოქაულებს. ახალციხის მაზრაში ჯაშემანის სატყეო აგარაკი, რომელიც ეკუთვნის სტეფანე და კირილე კაჩხოშვილებსა და ბაღდასარ ბეზირხოშვილს და ილია ბეზირგანოვს. ეს ტყე შეიცავს 2,000 დესეტინას. ამ ტყის თვალ-ყურის ჭერა მიენდო კობლიანის ტყის უფროსს.

*** **ქ. სიღნაღი.** **კნ. თებრონია ანდრონიკაშვილის დასაფლავება.** 4 ივლისს მთელი სიღნაღი ჰმუნვითა და მწუხარებით იყო მოცული. ამ დღით წმ. ნინოს მონასტრის ცივს სამარეს მივაბარეთ მთელ მაზრაში ცნობილი და ყველასაგან პატივცემული კნ. თებრონია გიორგის ასული, მომრიგებელ-მოსამართლის ს. ანდრონიკაშვილის მეუღლე. მიცვალებულის დასაფლავებას, მიუხედავად იმისა რომ ს. ნუკრიანიდან მონასტრამდინ 3 ვერსამდის მანძილია, აუარებელი ხალხი დაესწრო. დასაფლავებაზე სამი დროის და შესაფერი სიტყვა იქმნა თქმული, რომელიც ჩვენს მაზრაში იშვიათ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს. ერთი სთქვა მღ. [illegible] ტურიევმა, მეორე მ. [illegible] და მესამეც, რომელსაც შემდეგ დავბეჭდავთ, ციხელ[illegible]ნაძემ.

განსვენებული კნ. თებრონია იშვიათი დედაკაცი იყო, რომლისა მგზავსი ფარნით საძებარია დღეს ჩვენში, ნამეტნავად მაღალ წოდებაში. იგი იყო წარმომადგენელი ძველის თაობისა, ძველის ჩვენის დედებისა, რომელნიც შვილს უზრდიდნენ ხალხს. იგი იმედია, რომ მით მას ერთი მხნე და გამოსადეგი კაცი ემატებოდა; თავის ძუძუსთან ერთად აწოვებდნენ შვილებს მაღალს ზნეობას, პატიოსნებას და წრფელს უანგარო სიყვარულს მოძმე-მოყვასთა. ულმობელმა და მკაცრმა სიკვდილმა უეცრად, რამდენიმე წამის განმავლობაში უავადმყოფოდ, 1-ლ ივლისს შეუბრალებლად მოგვტაცა ერთი მცირეთაგან საუკეთესო ქართველი დედა, სასიქადულო ნაცნობი გვამი, გულწრფელი მრჩეველ-დამრიგებელი, ბურჯი ძველებური-ჩვენებური დარბაისელ მეოჯახისა და ყველასათვის სამაგალითო თავდადებული დაი.

განსვენებული თებრონია არ იყო დიდათ განათლებული, მას არც კი უსწავლია რამე სასწავლებელში, მაგრამ აღზრდილი ჩვენს ძველს დიდს ოჯახში, უხვათ იყო დაჯილდოვებული ბუნებისაგან გონიერებით, მშვიდი ბუნებით, იყო საუკეთესო დედა არა მარტო აღზრდელი შვილებისა, არამედ საყვარელი დედა ბევრის სხვისაც, რის გამოც შვილებთან ერთათ სხვანიც თავს აკლავდნენ განსვენებულის გვამს; იგი იყო სათნო-სამაგალითო მეუღლე-მეგობარი თავისის ქმრისა, რის გამო გამოუთქმელის ტანჯვით დაჰქვითინებდა დარბაისელი მოხუცებული მეუღლეც.

იგი იყო სულით პატიოსანი— დაუღალავი ქველ-მოქმედი გაჭირვებულთა და უმწეოთაგან ურჩეველად ეროვნებისა; იყო გულწრფელად მოყვარული ყველა კეთილი სულისა და დაუზარებელი შემწე ყოველის ტანჯულისა. არა გვგონია მოკლეთ გამოვიდეს ვინმე იმისთანა არსება ახლო-მახლო მცხოვრებელთა, რომლის გაჭირვება შეეტყოს განსვენებულს თებრონის და მას დახმარება არ აღმოეჩინოს მისთვის შრომით, სიტყვა-რჩევით, თუ ქონებრივათ.

გაიგებდა თუ არა სადმე ოჯახში ავადმყოფობას, ის დაუყოვნებლივ მიეშურებოდა იქით დახმარება აღმოეჩინა. ჩვენ თვითონ, ჩვენის თვალით გვინახავს, მოხუცებული კნ. თებრონია ხელში წამლის შუშებით გაჩქარებით უდრო-უდროვოთ მიმავალი დასახმა-

რებლად გაჭირვებულის მეზობლისა. არა გვგონია ვისმეს, დიდ სტუმარ-მოყვარულ ოჯახის ნაცნობთ, განურჩევლათ წოდებისა თუ ეროვნებისა; ერთხელ ენახოს განსვენებული თებრონია და სიყვარული და პატივისცემა არ ეგრძნო მისდამი. განსვენებული პირწყლიან ლაპარაკით, გულწრფელის რჩევა-დარიგებით მოინადირებდა ხოლმე მნახველის გულს და ისე დაატყვევებდა სიყვარულით, რომ პირველად გაცნობილიც კი ნანობდა მასთან დაშორებას.

აი ამ იშვიათ ღირსებათა ფანარი იყო, რომ განსვენებულ თებრონიას სიკვდილმა, თუმცა იგი არ იყო არც განსწავლილი, ან მწერალი ქალი,—ანუ საზოგადო ასპარეზზედ გამოსული მოღვაწე, მთლად მწუხარების ბურუსით მოიცვა ყველა მკვიდრნი ქ. სიღნაღისა და მთლად მის მაზრისა. ხმა მისი სიკვდილისა მსწრაფლ მოედო მთელს მაზრას და ამ დღეებში მარტო ის ღა ისმოდა ნაცნობ-მეგობართა პირველ შეხვედრის საუბარში, რომ პატივცემული თებრონია გარდაიცვალა. მხოლოდ მისი სულის მხნეობა და უძირო დაუშრეტელი ღრმა სიყვარულისა იყო მიზეზი, რომ აუარებელი ხალხი, განურჩევლად ეროვნებისა, წოდებისა, ასაკისა და სქესისა მოაწყდა, რათა უკანასკნელი სალამი მიეცათ თავიანთ საყვარელ კნ. თებროსთვის, როგორც აქ მუდმისად ეძახდნენ.—კნეინა თებროს დაკარგვით ჩვენ დავკარგეთ ერთი სამაგალითო ქართველი დედა, რომელთა მზგავსნი თან დისთან ჰქრებიან ჩვენი ოჯახიდგან. იმათი რიცხვი დღით-დღე მცირდება. ამიტომ მოვიყარეთ თავი მცხედრის წინაშე და მის გვამს ურიცხვი მხურვალე ცრემლი ვაფრქვიეთ. ღრმად შევვაწუხა მისმა დაკარგვამ, მაგრამ მითი ვნუგეშობთ და ვიმედოვნებთ, რომ კნ. თებროს და მის მზგავს დედათა მაგალითი არ მოგვაკლებენ ჩვენ მომავალშიაც თავიანთ მზგავს დედებს.

გ. იესეევი

*** **ს. ნუხისი** (იმერეთი) მხეცური მკვლელობა. 2 ივნისს დაიკარგა ნუხისის აბანოს მოიჯარადრე ბ. ჩხეიძე, რომლის ასავალ-დასავალი 6 ივნისამდე ვერავინ ვერ გაიგო. 6 ივნისს-კი მამასახლისმა ნახა საბრალო ჩხეიძე ხევში ჩაგდებული, რომელსაც თავის კეფა ჰქონოდა ჩამტვრეული და ყელიც ჰქონოდა გამოჭრილი დანით, ტანზედ კი არაფერი ნივთეულობა არ ქონოდა. გამოძიება სწარმოებს, მაგრამ ნამდვილი დამნაშავე, ჯერ ვერ აღმოუჩენიათ, თუმცა დაპატიმრებული კი არის ერთი კაცი, რომელიც ჩხეიძის შემდგნ მის მაგივრობას ასრულებდა აბანოზედ, რომელსაც შემდეგი ჩვენება უთქვამს: მე რომ მოვედი, აბანოზედ არავინ არ დამხვედრია და მე დავეპატრონეო.

ნაპერწკალი

*** **სოხუმი.** სულით ავადმყოფის უპატრონობა. ეს რამდენიმე წელიწადია, სოხუმსა და მის მიდამოებში დაძრწის დაგლეჯილი ტანისამოსით სულით ავადმყოფი, სოხუმის ეპარქიის ერთი სოფლის მღვდლად ნამყოფი ს. ს—ია, რომელიც 8 წელიწადი მეტია, რაც ქკუაზე შეშლილია, საბრალო ავადმყოფი მიგდებულია ბედის ანაბარად: არ გააჩნია არც თავშესაფარი, არც ცხოვრების სახსარი და ხანდახან რამდენიმე დღე მშიერია. სოფ. ათარაში (სოხუმის ოლქი) ავადმყოფს ჰქონდა 60 ქცევა მიწა. ამას წინად ეს მამული, რომელიც ღირდა 3,000 მან., საჯარო ვაჭრობით გაუყიდეს ვალში 100 მანეთად. ს. ს. რა თქმა უნდა, არ გამოცხადებულა სასამართლოში. მას აპეკუნიც კი არა ჰყავს დაყენებული. საჭიროა საეპარქიო მთავრობამ ან ავადმყოფის თანამსახურებად ნამყოფთ, მიაქციონ მას ყურადღება. („ნ. ო.“)

*** **გურია.** სასუფთაოდ სოფლად. საზოგადოთ ჩვენს სოფელში აგერ ორი სამი წელიწადია მუდამ ყოველ ზაფხულობით კანცელარიებზე იმართებოდა ყრილობა, სადაც იყო სჯა-ბაასი, თუ როგორ დაიცვან სოფლებში სისუფთავე, რომელიც არის ერთად-ერთი უებარი წამალი სოფელში ზაფხულობით სხვა და სხვა ჭირის გაუჩენლობისა. აქ ამ ყრილობაზე ირჩევენ კაცებს, რომელთაც ავალებენ ყურადღება მიექციათ ამ საგნისათვის. ყრილობას დიდი გავლენა ჰქონდა სოფლებზე. თითოეულად ყველა ოჯახი ყოველ დღე მოელოდა ამორჩეულ პირს—სანიტარს. ეხათრებოდათ მათი და ეშინოდათ „სტრაფისა“ იყო. სოფლებში, ეზოების ხვეტა-წმენდა, ბანა-რეცხვა, თუნდაც ბბ. სანიტარები სახლიდანაც არ დაძრულიყვნენ არასოდეს, საქმე მაინც მისით კეთდებოდა და ამ სიფთხილეს მიეწეოდა ყველა ის, რაც ჩვენს სოფლებს საზაფხულო ღვთის რისხვები ასცილდა. წელს კი ამ საგანზე ჰაჰანიც არ ისმის, არც ყრილობა და მისი მამასახლისი, არც სანიტარი და მისი „სტრაფი“, მიყუჩებულა ყოველი და ბინძურობამ სოფლად ფეხი გაიდგა.

ჩვენი მანდილოსნები მხიარულად და დაუღალავად მაშინ არიან, როცა აბრეშუმის ჭიასათვის ბჟოლის ფურცელს ზიდავენ და მოსავალს მოელიან და როცა ღმერთი მოსავალს მისცემს, მაშინ ყაჭის ნაძირი და გამოვლილი ცახები აღარ ახსოვთ. შორს აღარ გააქვთ, იქვე „საფოროში“ უკან ბროწეულის ან თხილის ძირში ჰყრიან და თუ ჭიები უდრო დროს დაწყდა, მაშინ ძველს შრომას სტირიან, თუ არა ახალს ვინლა მიუმატებს გადასაყრელად. მამა-კაცები ამისთანებში ხომ სონაწილეობას არ იღებენ!

საქონელს სახლის გვერდში აბმენ, ან და ახლო ქალტაში ამწყვდევენ და მათ განავალს იქამდინ არ გადააგდებენ, სანამ მზე ძალიან არ გაახმობს და გადასაგდებად ადვილი არ შეიქნება. საბატე ხულას ქვეშ აქვთ და ხულის წინ პარმალში ხან კერაფს ხან სიმინდს ფშვნიან თავის პატარა ბავშვებით და ბევრი სხვა. ყველა ამ გარემოებას რა გავლენა ექმნება ზაფხულობით ადამიანის ჯანმრთელობაზე ყველა მიხვდებით, მაგრამ ძლიერ მიკვირს, რათ უნდა ჩვენს მამასახლისებს ბოქაულებისაგან ამ საგანზე მიწერა! ან ბოქაულები რათ იმადლებიან ამის მიწერას. ნეტავ ვიცოდე სანიტარებს რათ უნდა ყოველ წლობით ამორჩევა და ხვეწნა-მუდარა! შეიძლება ხოლერამ და სხვებმა ჭირმა შეასრულეს ვადა და აწი ნება არა აქვთ გაჩნდნენ. იმედია ვისაც მართებს იგი ყურადღებას მოგვაქცევს და ძველებურად იმამაცებს.

აილოკ.

*** მადლობა შემოწირულობისათვის. ბ. რედაქტორო: ნება გვიბოძეთ თქვენის პატივცემული გაზეთის, „ცნობის ფურცლის“ შემწეობით, უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ბ. გიორგი გ. ცინცაძეს, რომელმაც გამოგვიგზავნა ქ. ქუთაისში შეკრებილი 35 მნ. 20 კ. და რამდენიმე წიგნები, ჩოხატაურის უფასო სამკითხველოს სასარგებლოთ, და იმ პირთ, რომელთაც შემოსწირეს ფული, თუ წიგნები ამ კეთილ დაწესებულებას. სია შემომწირველთა: ქ. მარიამ ზ. ფეიქრიშვილისა—5 მან. ედუარდი ზ. საკაშვილი-1—მან. სილიბისტრო ჩიქოვანი—მან. ათ-ათი შაური: ვინმე მეგრელი, პეტრე გორელი, პავლე ფალიაშვილი, ნოვვანელი, კონსტანტინე აკოფოვი, სტეფანე ფასიკოვი, გიორგი მანგალაძე, სტეფანე ფალშოვი, უცნობი, ლევან ასათიანი, სამსონ ვანიძე, ილარიონ მოწონელიძე, კონსტანტინე არობელიძე, ფილიპე ჭელიძე, ილარიონ თალაკვაძე, ნიკო ნებიერიშვილი, ნესტორ ზვიადაძე, ანტონ ქომეთიანი, ვარდენ ჩხაიძე, კონსტანტინე ჩემია, ლაზარე, მიხაილ კვირკველაძე, კონსტანტინე კობახიძე, გაბრიელ არქანიძე, კონსტანტინე ცაგარელი, ალექსანდრე წერეთელი, ორ ორი აბაზი: ალექსანდრე შარაშიძე, მიხეილ ხუჭუა, სიმონ გუგუშვილი, გრიგოლ დგებუაძე. ბეჟან ასათიანი, თეოფილე ლორია, ილიკო ჩხეიძე, მაქსიმე ზვიადაძე, ტრიფონ მესხი, გრიგოლ დარახველიძე, ვარდენ ბახტაძე, პავლე ქაცარავა, ბესარიონ ახვლედიანი, სამსონ ჭელიძე, [illegible] გიორგაძე, ნესტორ [illegible] ლაგვათაია, ქიშვარდი ხუნდაძე 30 კ. სავლე წერეთელი, სტეფანე შაინოვი, ვარლამ გაბუნია. ვანო კაჭკაჭოვი, თითო აბზი: სოფიო ლოლუა, ვინმე ვასილი, ვლადიმერ რუხაძე, დავით უგუფარაძე, სარდიონ ჭერაძე, არჩილ ხმალაძე, ილიკო ბეჟანეიშვილი, ნიკოლოზ ახობაძე, აქვსენტი ბერშზაშვილი, მაქსიმე მანაგაძე, გიორგი ლეჟავა, მანუელ მირიქანაშვილი. ვიღაცა ვანო, ივლიანე ხორავა, კოსტაქაში, გიორგი ცინცაძე. 36 ცალი წიგნი—მიტროფანე ლაღიძემ, დირებული—5 მან. 68 კ. 10 ც. მიტროფანე ბარკალაიამ—1 მან. 50 კა; 3 ც. სიმონ ლორიამ—1 მან. 55 კ. 4 ც. ილია მ. ჭურნიამ—50, 6 ც. ივლიანე ხეთერელმა—80 კ, 5 ც. ვანო არდიშვილმა—2 მან. 30 კ, 6 ც. ბესარიონ ზვიადაძემ—70 კ, 4 ც. ფრანჩისკე ეხსანოვმა—30 კ, 2 ც. გაბრიელ გოზალაშვილმა—80 კ., 1 ც. ვას. ვანიძემ—10 კ., 10. ბართლომე კილაძემ—5 კ., 1 ც. გრიგოლ გაბუნიამ—25 კ, 1 ც. გრიგ. ნორაკიძემ—15 კ. და 5 ც. გიორგი ცინცაძემ—1 მან. 16 კ. ჩვენი უფასო სამკითხველო, როგორც ძალიან ღარიბი ამით ვერას გახდება, იმედია სხვებიც გაგვიწევენ თანაგრძნობას და მით სამკითხველოს საქმეს ნივთიერად წინ წასწევენ.

გრიგოლ მეგრელიშვილი

---

## რედაქციისაგან

**ონჭიძეში** ბეგლ. პაიჭაძეს. თქვენი წერილი ვერ იბეჭდება,

**სამტრედიაში** ანტონიშვილს თქვენი წერილის დაბეჭდვა მოუხერხებელია.

**ლაგოდეხში.** w—ს თავის მკვლელობაზე წერა აღკრძალულია.

---

## საპედაგოგიო კურსები ტფილისში

6 ივლისს გაკვეთილი მისცა ბ. ტარიელაშვილმა სალმრთო სჯულში. ეს გაკვთილი სადამოზე გარჩეულ იქმნა და ნაკლულევანებასთან უფრო ბევრი ღირსებაც უჩვენეს. თვალ-საჩინო ნაკლულევანება ის იყო, რომ მასწავლებელი არ ცდილობდა ბავშვებს თვითონ ემოქმედნათ, დაუხმარებლად. წინა გაკვეთილი, უკვე ახსნილი, ჯერ უამბო და მერე კი ჰკითხა, ჩვენის ფიქრით, გამეორება მეტია; წინა დღით ახსნილ გაკვეთილის კითხვას მიზნად აქვს, თუ რამდენად შეითვისა და რა შეითვისა ბავშვმა გაკვეთილიდან. აგრეთვე სურათი ვერ იხმარა ისე, როგორც რიგია. წინა გაკვეთილის კითხვაზე ხელმეორედ აწერა და ბაასი სურათზე მეტი დროს დაკარგვაა; საკმაოა

მხოლოდ ბავშვი უცქეროდეს სურათს, რომ წინა გაკვეთილი მოიგონოს და სთქვას, მით უფრო, რომ წინა გაკვეთილი ბავშვს სახლში სასწავლებლადაც ეძლევა. პირველ განყოფილებაში ლოცვების სწავლების რიგი დაცულ არ იქმნა. ასწავლა რთული ლოცვა, რომელიც ბავშვებმა ვერ შეითვისეს.

მეორე გაკვეთილი ქ-ნმა როსებ ქადაგიშვილმა მისცა ქართულში. გაკვეთილმა სასურველად ვერ ჩაიარა. უმცროსს განყოფილებაში ხელ-მეორედ იქმნა იგივე გაკვეთილი ახსნილი, რადგან საფუძვლად უნდა დასდებოდა დანარჩენს გაკვეთილებს ეს ადგილი.

მესამე გაკვეთილი ბ-ნმა ალადაშვილმა მისცა. ამანაც უნაკლულოდ ვერ ჩაიარა. ამ საღამოს გაკვეთილების გარჩევის დროს ლამფას წაეკიდა ბალკონზე, ვიღამაც დაიძახა „პაჟარიო“, რამაც ქალები ძალიან დააფრთხო და გაკვეთილების გარჩევაც უდროვოდ შესწყვიტა. ამ საღამოს გაკვეთილების გარჩევას დაესწრო მისი ყოვლად-უსამღვდელოესობა გორის ეპისკოპოსი ლეონიდე, პატივცემული ი. გოგებაშვილი და მრავალი სხვები.

რუსულ ენაში ქ-ნმა კორეცკისამ მისცა გაკვეთილი. მეცადინეობდა ორ განყოფილებასთან. ბავშვებმა კარგად ვერ შეითვისეს გაკვეთილი.

მეორე გაკვეთილი ქ-ნ ზელინსკისამ მისცა არითმეტიკაში. სხვათა შორის, გაკვეთილის ნაკლულევანებად ის უჩვენეს, რომ ბავშვები უსაქმურად რჩებოდნენ და ცელქობდნენო. საზოგადოდ მოწონებულ იქმნა გაკვეთილი.

მესამე გაკვეთილი ბ-ნმა გორდელაძემ მისცა ქართულში. გაკვეთილი დიდის ხელოვნებით და ცოდნით იქმნა ახსნილი. ბავშვებმა ზედმიწევნით შეითვისეს ახსნილი. გაკვეთილი ერთხმივ მოწონებულ იქმნა და თვითონ მასწავლებელს მადლობა გამოეცხადა. პირადი ღირსებანი მასწავლებლისა იყო აუჩქარებლობა, სილინჯე, სიმკვირცხლე, ბავშვების ბუნების ცოდნა და სხ. ეტყობოდა პატივცემულ მასწავლებელს, რომ სულით და გულით მოუკიდნია ხელი ბავშვების აღზრდისათვის დ© კარგადაც შეუთვისებია ეს საგანი.

მ. ლიხელი

# თეატრის მატიანე

—

**დ. ყვირილა.** ქართულ-რუსული წარმოდგენა. კარგა ხანია, რაც დ. ყვირილაში წარმოდგენა არ გამართულა, რასაც ხელს უშლიდა, როგორც სხვა ბევრი რამ დაბრკოლება, ისე სცენის უქონლობაც. მართალია, წინადაც იყო აქ სცენა მოწყობილი, მაგრამ ეს უფრო სახელ და ხელოთ იყო, ძლიერ პატარა და უხერხულიც. თუმცა სცენა არ გვქონდა გაწყობილი, მაგრამ მის საჭიროებას კი, ყველანი გრძნობდნენ და ამიტომაც რამდენიმე ამ საქმისთვის გულშემატკივარ პირთა მეცადინეობით ვვეშველა და დაგვიარსდა სამუდამო სცენა ბ-ნ ა. არაბიძის შენობაში. მართალია ჯერ კიდევ ბევრი რამეები აკლია სრულ მოწყობას, მაგრამ იმედია, ეს ნაკლი შემდეგისთვის მაინც თავიდან აშორებული იქმნება ამ საქმისთვის გულ შემატკივარ პირთა მეცადინეობით, რადვანაც, როგორც ვავიგე აზრად აქვთ მართონ ხშირად სახალხო წარმოდგენები ამ საქმის სასარგებლოდ. სცენის მოწყობას ძლიერ შეუწყო ხელი ეხლანდელმა რუსულ-ქართულმა წარმოდგენამ, (რომელიც გამართული იყო ორ ივლისს ბ-ნი ელიაშვილის მეცადინეობით ჩვენის დღემდე ბედ-კრულის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ.) რადგანაც მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ. განსაკუთრებით დიდი მადლობის ღირსია პატივცემული ფ. მ. ზლობინი, რომელიც რეჟისორობდა ამ წარმოდგენას და რომელმაც უფასოდ დახატა ფარდა, (რომლის მზგავსი დაბებში კი არა პატარა ქალაქებშიაც არ არის). დეკორაციები და აგრეთვე მისი შრომით მოეწყო მთელი სცენა, რადგანაც ბ-ნი ზლობინი ანტრეპრენიორად ნამყოფი გახლავსთ და კარგადაც აქვს შესწავლილი ყოველივე სცენის მოწყობა-მომართვა.

წარმოდგენილი იყო რუსულად: „ჩერეზ კრაი“, კომ. სამს მოქ. ტიხნოვისა და „უსლუჟილ“ ვოდ. ერთ მოქ. მონაწილეობას ღებულობდნენ: ქქ. ელიაშვილისა. ვ. ა. მ—ვა, ზლობინისა, ე. ა. მ—ვა, ბბ. კალატუზოვი, ტაროიცკი, კ. მ—ძე. ალინინი (ზლობინი) ს. ლ. ბ—ძე, პეტროვსკი და სხვა. ქართულ ენაზედ წარმოდგენილი იყო „ჭკუისა მჭირს“, კომ. ერთ მოქ. მედებად ა. ცაგარლისა; მონაწილეობას ღებულობდნენ: ქ. ბაქრაძე, ბბ. ჟ—ტი, ა—ძე, კაცხელი, არდიშვილი, ცქიტიშვილი, ჭ—ლი და სხვ.

წარმოდგენამ საზოგადოდ მხიარულად და მწყობრისად ჩაიარა, ხალხი ბლომად დაესწრო და ნასიამოვნებიც დარჩა. შემოსავალი ას თუთხმეტ მანეთზედ მეტი უნდა იყოს, რასაც უეჭველია, შემდეგი ანგარიშიდან გავიგებთ.

დიდი მადლობის ღირსია; როგორც ჩვენი სცენის მოყვარეები, ის პატივცემულნი პირნი, რომლებმაც ამ საქეს შემწეობა აღმოუჩინეს. იმედია ჩვენი სცენის ახალგაზდა მოყვარეები აწი მაინც ხშირ-ხშირად გამართავენ წარმოდგენას, რადგანაც სცენა გაწყობილია და ზედ წარმოდგენის მეტი არა უნდა რა, ხოლო საქმე ის არის, რომ ძლიერ უძნელდებათ ნებართვის აღება, რადგანაც ყოველთვის გუბერნატორს უნდა მიმართონ. დიდად დაგვავალებდა ადგილობრივი ადმინისტრაცია, რომ ამ ნების მოცემა თითონ ეკისრნა, რის უფლებაც არა მგონია, რომ არა ჰქონდეს.

იმედია ახალი მაზრის უფროსი ბ-ნი ნეტკაჩევი, როგორც საზოგადოდ დაბის კეთილ წარმატების მსურველი, ხელს შეუწყობს ამ საქმეს, რის შემდეგაც ეჭვი არ არის დაბა ყვირილაშზ ძლიერ ჩქარა დაწინაურდება წარმოდგენის საქმე.

თავისუფალი

## ყურმოკრული საუბარი

—

საბუთიანი პასუხი.—ქალაქში ისე სჭამენ დათვის ხორცს, როგორც საქონლისას.

— დათვი უნდა სჭამონ, რომ სიმინდებია იმისგან აოხრებული, თორემ საქონელმა რა დაუშავათ!

— შვილო, რატომ ქალაქიდან ჩაი-შაქარი არ მოიტანე? ჰკითხა ქალაქიდან დაბრუნებულს შვილს დედამ.

— ჩაი-შაქარს სულ წყალში ჰყრიან ქალაქელები და გორელები.

— უი, შვილო, ტყუილად გადაურას შენ გამართმევდი.

— არ დამანებეს, ყარაულად უდგნენ თითონვე.

— მამაო, რატომ სეფისკვერს არ მაძლევ!

— შენ დრამა მამე და მეც მოგცემ, თუ არა და რადაც ორი კოდი პური ავკრიფე, ისიც შენ მოგინდება სეფისკვრად, მერე მე რაღა გუყო ჩემს ცოლ-შვილსაო?!

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან),

7 ივლისი.

**მადრიდი.** შინაგანი მდგომარეობა კრიტიკულია, თუმცა არეულობაზე არა ისმის-რა. მთავრობა ზომებს იღებს კარლისტების მოძრაობის წინაღმდეგ.

**ვერსალი.** ნაფიც მსაჯულთა წინაშე განახლდა ბეჭდვითი შეურაცხყოფის საქმე, რომელიც აღძრა ზოლას წინააღმდეგ სამხედრო სასამართლომ. სააპელაციო სასამართლოს პირველი თავჯდომარე პერივიე თავმჯდომარეობს. გენერალურ პროკურორს ბერტრანს დაჭერილი აქვს პროკურორის სავარძელი. ვექილი ლაბორი წარადგენს თავდა პირველადვე, ჯერ კიდევ ნაფიც მსაჯულთა არჩევამდე, დასკვნებს, რომლებშიაც ამტკიცებს, რომ სამხედრო სასამართლოს წევრთ უფლება არ აქვთ საქმე აღძრან სამოქალაქო საჩივრის მხრივ. პროკურორი ბერტრანი უსაყვედურებს ზოლას უსიამოვნო შემთხვევების გამრავლებას საქმის გარჩევის დროს და გვერდის ახვევას თვის მიერ გამოწვეულ უწეს-რიგობის შედეგებისაგან. პროკურორი მოითხოვს, რომ ლაბორის დასკვნები არ იქნეს შეწყნარებული. ლაბორის პასუხის შემდეგ მსაჯულები გადიან განაჩენის დასადგენად. ლაბორის დასკვნები არ იქმნა შეწყნარებული. ლაბორი წარადგენს ახალ დასკვნებს, რომლებითაც ამტკიცებს კავშირს დრეიფუსის საქმესა და ესტერგაზის საქმეს შორის. პროკურორი უკიჟინებს ლაბორის, თქვენ გსურთ თქვენი პრეტენზიებით საქმის გარჩევის დაწყებას ხელი შეუშალოთო. სასამართლო უარ-ჰყოფს ლაბორის დასკვნებს და დაადგენს არჩეულ იქნენ ნაფიცი მსაჯულნი. იმის გამო, რომ ლაბორის ახალი დასკვნები უარყოფილ იქმნა, ზოლა და პერენი აცხადებენ, არა გვსურს საქმის გარჩევას დავესწროთო, და გადიან. ლაბორი მოითხოვს კასაციაზე თხოვნის წარდგენის უფლებას, რომელმაც ხელი უნდა შეუშალოს საქმის განხილვას. პროკურორი პასუხს აძლევს, იმის წინააღმდეგ, რომ საკასაციო საჩივარმა ხელი უნდა შეუშალოს საქმის განხილვასაო. სასამართლო დაადგენს, რომ საჩივარი არ აბრკოლებს საქმის განხილვას. ლაბორი აცხადებს, მაგ შემთხვევაში მე არ დავესწრები საქმის გარჩევასაო. ლაბორი მიდის.

სასამართლომ მიუსაჯა ზოლას ერთი წლის სატუსაღო და 3,000 ფრ. ჯარიმა.

საქმის გარჩევის დროს მომხდარ შეტაკების გამო ზოლამ, დერულედმა და გიუბარმა ერთმანეთს სეკუნდანტები მიუგზავნეს. სხვა-დასხვა გვარმა ყვირილმა ბრალდებულთა მომხრე-მოწინააღმდეგეებისამ გამოიწვია შეტაკება. რამდენიმე კაცი დაატუსაღეს. აფიცრების გამოსვლის დროს ასტყდა ყვირილი ჯარის პატივ-საცემად. ზოლას კარეტას თან გაჰყვნენ ჟანდარმები, ხოლო ხალხს ყვირილი გაჰქონდა.